მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი
(პირველადი ვარიანტი)

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

აქტიურად გაგრძელდება მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2025 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის, 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

<u>თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ</u>

ახმეტის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახმეტა. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს ჩეჩნეთი, აღმოსავლეთით ესაზღვრება თელავის მუნიციპალიტეტი და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. იგი მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდინარე ილტოსა და მდინარე ორვილს შორის გაშლილ ვაკეზე. ახმეტის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში

შედის თუშეთი, რომელიც ზღვის დონიდან 1650-4493 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და სოფელი კასრისწყალი, რომელიც მდებარეობს შირაქის ვაკეზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიმდებარედ.

მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 15 ადმინისტრაციული ერთეული და 111 სოფელია, აქედან 51 სოფელს არ ყავს ზამთარში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს 78 სოფელი.

ფართობი

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 2207,6 კმ^2. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 830 კმ^2. ხოლო მუნიციპალიტეტის 912 კმ^2 კი ტყითაა დაფარული.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524 600 გრძივ მეტრს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის 4 შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა. ესენია:

- ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანი
- ახმეტა-ბაწარას ნაკრძალი
- ახმეტა-თელავი-ბაკურციხე
- თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორი

მოსახლეობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 26,5 ათას ადამიანს შეაგენს. აქედან საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს 5,8 ათასი, ხოლო სასოფლო დასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა 20,7 ათასი ადამიანია.
მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 31461, სქესთა გადანაწილება ასეთია: საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს 3 480 მამაკაცი, ხოლო სასოფლო დასახლებაში 12 152. საქალაქო დასახლებაში ქალთა რაოდენობა 3625-ს შეადგენს, ხოლო სასოფლო დასახლებაში კი - 12204-ს.
მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 7039 პენსიონერი და 1352 სოც. პაკეტის მიმღები პირი. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 4,6 ათას მოსახლეს.
მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის სიმჭიდროვე 12,0 კაცი/კმ²-ზეა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

დასახელება	*რაოდენობა*
მოსახლეობის რიცხოვნობა	**26500**
0-5 წლის ბავშვი	2307
6-18 წლამდე ბავშვი	6225
პენსიონერთა რაოდენობა	7039
სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა	1352
მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა	4628

ახმეტის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2024 წლის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობა (ათასი)	ფართობი (კვ.კმ)

სულ საქართველო	3694,6	69,700.00
კახეთის რეგიონი	299,9	11,309.50
ახმეტის მუნიციპალიტეტი	26,5	2,208.00
პროცენტი საქართველოსთან	0,72%	3.2%
პროცენტი რეგიონთან	8,8%	19.5%

ეკონომიკა

მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: დასაქმება საბიუჯეტო ორგანიზაციებში, სოფლის მეურნეობა და მცირე ბიზნესი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: სარძევე, მევენახეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა და მეცხვარეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტს ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. მისი ტერიტორია უნიკალურია ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით. აქაური ფაუნა, ფლორა, შიდა წყლები და რთული რელიეფური პირობები თვალისმომჭრელია თითოეული მნახველისათვის. აქაურ მიწებზე წარმოდგენილია ერთობლივად სამი სახელმწიფო ნაკრძალი, ბაწარის, ბაბანეურის და თუშეთის.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს ტურისტული მარშრუტები, რომლებიც თუშეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნახველებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე მოინახულონ და გაეცნონ უძველეს ისტორიულ ძეგლებს, ისარგებლონ საოჯახო სასტუმროთი, დააგემოვნონ ქართული ღვინო და ტრადიციული კერძები.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო

კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. თუმცა ახმეტის მუნიციპალიტეტი მაინც საჭიროებს დამატებითი ტრანსფერების გამოყოფას. მაგალითად, მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები მთლიან შემოსულობებთან მიმართებაში შეადგენს 28 პროცენტს. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 35418,0 ათ. ლარს, გადასახდელების მოცულობაა 41 158,1 ათ. ლარი, ხოლო ნაშთის ცვლილება - 5740,1 ათ. ლარს.

დასახელება	*2024 წლის გეგმა*		
	სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	35,418.0	24,533.3	10,884.7
შემოსავლები	33,678.0	22,793.3	10,884.7
არაფინანსური აქტივების კლება	740.0	740.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	1,000.0	1,000.0	0.0
გადასახდელები	41,158.1	28,519.2	12,638.9
ხარჯები	20,666.4	19,621.1	1,045.3

არაფინანსური აქტივების ზრდა	20,312.7	8,719.1	11,593.6
ვალდებულებების კლება	179.0	179.0	-
ნაშთის ცვლილება	-5,740.1	-3,985.9	-1,754.2

თავიII. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსულობები	29,925.9	35,418.0	26,514.5	25,135.6	27,013.6	29,049.3
გადასახდელები	32,236.2	41,158.1	26,514.5	25,135.6	27,013.6	29,049.3
ნაშთის ცვლილება	(2,310.4)	(5,740.1)	-	-	-	-

ბიუჯეტის ბალანსი						
დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
შემოსავლები	**29,383.0**	**33,678.0**	**23,764.5**	**24,985.6**	**26,863.6**	**28,899.3**
გადასახადები	19,041.3	21,063.8	22,643.2	24,356.6	26,234.6	28,270.3
გრანტები	8,893.0	11,640.9	506.3	54.0	54.0	54.0
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	8,851.0	11,214.4	506.3	54.0	54.0	54.0
სხვა შემოსავლები	1,448.7	973.3	615.0	575.0	575.0	575.0
ხარჯები	**16,352.7**	**20,666.4**	**20,957.7**	**21,764.7**	**23,173.9**	**24,723.5**
შრომის ანაზღაურება	3,376.6	3,750.5	4,069.6	4,024.0	4,337.0	4,681.0
საქონელი და მომსახურება	2,227.2	2,974.1	2,238.4	2,191.5	2,213.4	2,238.4
პროცენტი	75.1	56.7	35.9	13.8	0.7	-
სუბსიდიები	9,568.6	11,761.7	12,983.5	13,894.6	14,969.9	16,137.3
გრანტები	115.0	115.0	115.0	115.0	115.0	115.0
სოციალური უზრუნველყოფა	572.9	1,056.9	1,136.2	1,150.3	1,150.3	1,150.3
სხვა ხარჯები	417.3	951.5	379.1	375.5	387.6	401.5
საოპერაციო სალდო	**13,030.3**	**13,011.6**	**2,806.8**	**3,220.9**	**3,689.7**	**4,175.8**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**15,172.5**	**19,572.7**	**5,216.0**	**1,255.0**	**1,855.5**	**4,175.8**
ზრდა	15,715.4	20,312.7	5,366.0	1,405.0	2,005.5	4,325.8

კლება	542.9	740.0	150.0	150.0	150.0	150.0
მთლიანი სალდო	**-2,142.2**	**-6,561.1**	**-2,409.2**	**1,965.9**	**1,834.2**	**-**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-2,310.4**	**-5,740.1**	**-**	**-**	**-**	**-**
ზრდა	-	-	-	-	-	-
კლება	2,310.4	5,740.1	-	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	**168.2**	**-821.0**	**-2,409.2**	**1,965.9**	**1,834.2**	**-**
ზრდა	-	1,000.0	2,600.0	-	-	-
საგარეო	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	1,000.0	2,600.0	-	-	-
კლება	168.2	179.0	190.8	1,965.9	1,834.2	-
საგარეო						
საშინაო	168.2	179.0	190.8	1,965.9	1,834.2	-
ბალანსი	0.0	-0.0	-	-0.0	-	-
მუნიციპალიტეტის ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	**16.2**	**26.4**	**1.4**	**3.9**	**6.5**	**6.7**
შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი	**10.1**	**9.3**	**8.4**	**8.3**	**8.4**	**8.4**

ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები)						

2.2 გასული 2023 წლის და მიმდინარე 2024 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

2023 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) და ნაშთის ცვლილების გეგმა განისაზღვრა 37700,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 32236,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 85,5%-ი.

ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 29554,5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29925,8 ათასი ლარი. წლიური გეგმის 101,3%. საანგარიშო პერიოდში 371.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია - **29383,0** ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (29191,5 ათასი ლარი) 100,7 % და მთლიანი - შემოსულობების 98,2 % შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 19041,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18998,4 ათასი ლარი) 100,2 %-ია. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 11654.8 ათასი ლარი) 3504,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის (16573,2 ათ. ლარი). ქონების გადასახადიდან მიღებულია 2468.1 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 1686,4 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 763,2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 18,6 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 8893,0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 825,3 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 8025,7 ათასი ლარი,

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1448,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1231,7 ათასი ლარის 117,6%-ია.

ათასი ლარი

	2022 წელი			
დასახელება	**გეგმა**	**ფაქტი**	**+/-**	**%**
შემოსავლები	**29191,5**	**29383,0**	**191,5**	**100,7**

გადასახადები	18998,4	19041,3	42,9	100,2
გრანტები	8961,4	8893,0	-68,4	99,2
სხვა შემოსავლები	1231,7	1448,7	217,0	117,6

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2023 წელს მობილიზებული იქნა 542,9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (363,0 ათასი ლარის) 149,5%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 54,6 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 488,2 ათასი ლარი

2023 წლის 1 იავრისთვის არსებულმა ნაშთმა შეადგინა 8329,6 ათასი ლარი, აქედან ადგილობრივი სახსრების ნაშთის ოდენობამ შეადგინა 4010,9 ათ. ლარი, საიდანაც 1417,2 ათასი ლარი აისახა 2022 წლის ვალდებულებების დასაფარად, 2593,7 იყო საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი. (ე.ი.ადგილობრივი სახსრების ნაშთი 4010,9 სრულად აისახა 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში გამოსაყენებლად) ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთმა შეადგინა 4318,7 ათ. ლარი. აქედან 4135,2 ათ. ლარი აისახა 2023 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებში, გასული წლის ვალდებულებების დასაფარად, ხოლო 183,5 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთის სახით.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 6019.3 ათ ლარი, აქედან :

2023 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების - 85,5%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

დასახელება	2023 წლის დაზუსტებული გეგმა		2023 წლის ფაქტი	
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	**29,191.5**	**20,636.4**	**8,555.1**	**29,383.0**	**20,896.3**	**8,486.7**
გადასახადები	**18,998.4**	18,998.4	-	**19,041.3**	19,041.3	-
გრანტები	**8,961.4**	406.3	8,555.1	**8,893.0**	406.3	8,486.7
სხვა შემოსავლები	**1,231.7**	1,231.7	-	**1,448.7**	1,448.7	-
II. ხარჯები	**18,235.2**	**17,174.2**	**1,061.1**	**16,352.6**	**15,776.5**	**576.0**
შრომის ანაზღაურება	**3,451.8**	3,451.8	-	**3,376.6**	3,376.6	-
საქონელი და მომსახურება	**2,962.1**	2,501.0	461.1	**2,227.2**	1,766.1	461.1
პროცენტი	**76.3**	76.3	-	**75.1**	75.1	-
სუბსიდიები	**9,913.8**	9,913.8	-	**9,568.6**	9,568.6	-
გრანტები	**115.0**	115.0	-	**115.0**	115.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	**745.9**	745.9	-	**572.9**	572.9	-
სხვა ხარჯები	**970,4**	370.4	600.0	**417.2**	302.3	115.0
III. საოპერაციო სალდო	**10,956.2**	**3,462.2**	**7,494.0**	**13,030.4**	**5,119.8**	**7,910.7**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	**18,933.9**	**7,304.8**	**11,629.1**	**15,172.5**	**4,976.3**	**10,196.3**
ზრდა	**19,296.9**	7,667.8	11,629.1	**15,715.4**	5,519.1	10,196.3
კლება	**363.0**	363.0		**542.9**	542.9	
V. მთლიანი სალდო	**-7,977.7**	**-3,842.6**	**-4,135.1**	**-2,142.1**	**143.5**	**-2,285.6**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**-8,146.0**	**-4,010.9**	**-4,135.1**	**-2,310.3**	**-24.7**	**-2,285.6**
ზრდა	**-**	-		**-**	-	
ვალუტა და დეპოზიტები	**-**			**-**		
კლება	8,146.0	4,010.9	4,135.1	-2,310.3	-24.7	-2,285.6
ვალუტა და დეპოზიტები	**8,146.0**	4,010.9	4,135.1	**-2,310.3**	-24.7	-2,285.6

VII. ვალდებულებების ცვლილება	**- 168.3**	**- 168.3**	**-**	**- 168.2**	**- 168.2**	**-**
კლება	**168.3**	168.3	-	**168.2**	168.2	-
საშინაო	**168.3**	168.3	-	**168.2**	168.2	-
სესხები	**168.3**	168.3	-	**168.2**	168.2	-
VIII. ბალანსი		**- 0.0**	**-**		**- 0.0**	**-**

ინფორმაცია 2023 წლის გადასახდელების შესახებ

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 37700,5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 32236,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85,5%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18235,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 16352,6 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 89,7%.

სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	2023 წლის დაზუსტებული გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6143.9	5385.6	87.7%
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15441.3	12806.4	82.9%
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3581.6	3218.6	89.9%
04 00	განათლება	6515.1	6095.4	93.6%
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3534.7	2982.7	84.4%
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2483.9	1747.4	70.3%



ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:



1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 3451,8 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3376,6 ათასი ლარი, წლიური გეგმის 97,8%;
2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 2962,1ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2227,2 ათ. ლარი, წლიური გეგმის 75,2 %. აღნიშნული მუხლიდან დაფინანსდა
   - ✓ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 288,9 ათასი ლარი
   - ✓ მივლინების ხარჯები - 32,3 ათასი ლარი
   - ✓ ოფისის ხარჯები - 206,5 ათასი ლარი.
   - ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 49,9 ათასი ლარი.
   - ✓ სამედიცინო ხარჯები - 1,0 ათასი ლარი.
   - ✓ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯები - 765,0 ათასი ლარი (აქედან 461,1 ათ. ლარი არის სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების, 173,0 ათ. ლარი არის საწვავის ხარჯი, 53,0 ათ. ლარი კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების, წვევამდელებისა და ახალგაზრდულ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების ტრანსპორტით მომსახურების ხარჯი. ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები 17,7ათ. ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯი 58,7 ათ. ლარი).
   - ✓ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 876,8 ათასი ლარი (აღნიშნული მუხლიდან დაფინანსებულია გარე განათებასა და ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადი - 542,4 ათ. ლარი, შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი -66,0 ათ. ლარი და სხვა ხარჯები).
3. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის პროცენტის წლიური გეგმა იყო 76,3 ათ. ლარი, გახარჯულია 75,1 ათ. ლარი. წლიური გეგმის 98,4 %.
4. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 9913,8 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 9568,6 ათასი ლარი. წლიური გეგმის 96,5%.
5. გრანტების წლიური გეგმა - 115,0 ათ. ლარი, ფაქტი - 115,0 შესრულება 100%.

- ✓ (ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთისათვის გადარიცხული გრანტი) – 35,5 ათ. ლარი - (ტურიზმის განვითარებისთვის 29,5 ათ. ლარი, სკოლის მოსწავლეების დასაჯილდოვებლად სცენის მოწყობისთვის 5,5 ათ. ლარი)
- ✓ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოსათვის გადაცემული გრანტი - 80,0 ათ.ლარი.

6. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 745,9 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 572,9 ათასი ლარი. შესრულება 76,8 %.
7. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა განისაზღვრა 970,4 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 417,3 ათასი ლარი (საკრებულოს წევრების კომპენსაცია 107,1 ათ. ლარი, სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი - 36,1 ათ.ლარი. ამავე მიზნით საქართველოს მთავრობის #116 განკარგულებით გამოყოფილი 600,0 ათ. ლარიდან გახარჯულია 115,0 ათ. ლარი. საჯარო სკოლების წარჩინებით კურსდამთავრებულთა დასაჯილდოვებლად 21,8 ათ. ლარი. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია - 109,0 ათ. ლარი და სხვა ხარჯები.

- **არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 19297,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯსაკმა - 15715,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81,4 %-ია.**

- **ვალდებულებების კლების მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 168,3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 168,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100 %-ია.**

სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის „ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის გადმოცემის მიზნით პროცენტის სახით გადახდილია 27,9 ათ. ლარი, ხოლო ვალდებულება შემცირებულია 76.3 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2026 წლის აპრილი. "ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის" გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2023 წელს პროცენტის სახით გადახდილია 47,2 ათ. ლარი. ხოლო ვალდებულება შემცირებულია 91,9 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2027 წლის მარტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა.

1. ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და ფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**15,441.3**	**12,806.4**	82.9%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	**9,865.8**	**7,868.4**	79.8%
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,904.1	1,799.2	94.5%
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1,107.1	1,104.1	99.7%
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	250.0	221.6	88.6%
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	547.0	473.5	86.6%
02 03	გარე განათება	674.0	641.6	95.2%
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია	340.0	320.8	94.4%
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	334.0	320.8	96.0%
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	350.7	43.6	12.4%
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოტაცია	350.7	43.6	12.4%

02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,182.7	1,084.3	91.7%
02 07	ტურიზმი	1,464.1	1,370.4	93.6%
02 07 01	ტურისტული ინფრასტურქტურის მოწყობა	1,434.6	1,340.9	93.5%
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5	29.5	100.0%

კეთილმოწყობის ღონისძიებების საკასო ხარჯის შესრულების პროცენტული მაჩვენებელია 12,4, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებების მრავალწლიანობის სტატუსით.

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. ფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პარონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**2023 წლის გეგმა**	**2023 წლის ფაქტი**	**შესრულება %-ში**
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**3,581.6**	**3218.6**	**89.9%**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,139.3	1044	91.6%
03 02	გარემოს დაცვა	901.6	818.3	90.8%
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	519.4	437.1	84.2%
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	382.2	381.2	99.7%
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,540.7	1356.3	88.0%
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	173.5	162.5	93.7%
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	587.9	583.8	99.3%
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	779.3	610	78.3%

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტიდ განხორციელდა საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, შენობა ნაგებობებების რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
04 00	**განათლება**	**6,515.2**	**6095.4**	**93.6%**
04 01	სკოლამდელი განათლება	5,822.6	5570.9	95.7%
04 01 01	ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრი	3,846.6	3794.1	98.6%
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა(საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	1,976.0	1776.8	89.9%
04 02	ზოგადი განათლება	692.6	524.4	75.7%

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები განხოციელდა როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3,534.7**	**2982.7**	**84.4%**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,856.4	1339.8	72.2%
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,193.4	1157.1	97.0%
05 01 01 01	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	856.4	821.1	95.9%
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	101.6	101.6	100.0%
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	235.4	234.4	99.6%
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	35.0	28.6	81.7%
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	628.0	154.1	24.5%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,399.2	1379.5	98.6%
05 02 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	851.1	839.8	98.7%
05 02 01 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	529.8	521.4	98.4%
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	18.3	18.3	100.0%
05 02 03 02	კლუბები	18.3	18.3	100.0%
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	195.0	181.9	93.3%
05 04	საინფორმაციო ცენტრი	83.1	81.6	98.2%

კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში საკასო ხარჯის შესრულების პროცენტული მაჩვენებელია 25,5. რაც გამოწვეულია ხელშეკრულებების მრავალწლიანობის სტატუსით.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**2,483.9**	**1,747.4**	**70.3%**
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	244.9	233.4	95.3%
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	116.9	108.8	93.1%
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	128.0	124.6	97.3%
06 02	სოციალური დაცვა	2,238.9	1,514.0	67.6%
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	485.7	387.9	79.9%
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	265.0	170.8	64.5%
06 02 03	სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	775.2	263.8	34.0%
06 02 04	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსაუხრების პროგრამა	32.0	29.9	93.4%
06 02 05	უმწეოთათვის უფასო კვების პროგრამა	630.3	611.1	97.0%
06 02 06	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	10.8	10.6	98.1%
02 06 07	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა	40.0	40.0	100.0%

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა	2023 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,143.8	5385.6	87.7%
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,363.9	5136.7	95.8%
01 01 01	ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,060.9	1015.4	95.7%
01 01 02	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია	4,087.6	3916.1	95.8%
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	215.4	205.2	95.3%
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	779.9	248.9	31.9%
01 02 01	სარეზერვო ფონდი	523.8	0	0.0%
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	4.5	0	0.0%
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდბულებების მომსახურება და დაფარვა	244.6	243.3	99.5%
01 02 04	შესყიდვებთან და აუქციონთან დაკავშირებული ხარჯები	7.0	5.6	80.0%

2024 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 39441,0 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2024 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 15286,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (33700,9 ათასი ლარი) 45,4%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 10781,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (21063,8 ათასი ლარი) 51.2%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 2203,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (10242,8 ათასი ლარი) 21,5%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 518,3 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური

ტრანსფერის სახით 1476,8 ათ. ლარი. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია - 208,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 574,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (784,3 ათასი ლარი) 73.2%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 253,6 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 117,0 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 97,0 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა - 5,2 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –101,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 728,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (610,0 ათასი ლარი) 119,3%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 35,6 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 692,4 ათასი ლარი.

ქ. ახმეტაში იპოდრომის მოსაწყობად სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდიდან უსასყიდლო სესხის სახით გადმოსაცემი თანხის ოდენობა შეადგენს 3 600,0 ათ. ლარს. აქედან 2024 წელს მიღებულია 1000,0 ათ. ლარი, ხოლო 2600,0 ათ. ლარის გადმოცემა მოხდება 2025 წლის 28 მარტს. სესხი არის უპროცენტო და დაფარვის თარიღია 2027 წლის 25 დეკემბერი.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 6019.3 ათ ლარი, აქედან :

1. ადგილობრივი სახსრების ნაშთია 3985,9 ათ. ლარი, საიდანაც თავისუფალი ნაშთი შეადგენს 2549,5 ათას ლარს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 2033,4 ათ. ლარს (მ. შ. 279,2 ათ. ლარი არის თავისუფალი ნაშთი)

ახმეტის ბიუჯეტის 2022-2024 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)			
	2022 წლის 6 თვე	**2023 წლის 6 თვე**	**2024 წლის 6 თვე**
გადასახადები	**7,403.3**	**9623.0**	**10781,5**
ქონების გადასახადი	1,277.3	1765.5	1646,8
დღგ	6,126.0	7857.5	9134,7
გრანტები	**1,776.7**	**1877.8**	**2203,0**
სხვა შემოსავლები	**499.0**	**582.6**	**574,1**
შემოსავლები საკუთრებიდან	259.6	394.6	370,6

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	32.6	70.0	97,0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	199.2	102.2	101,3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	7.6	15.8	5,2
არაფინანსური აქტივების კლება	**392.2**	**230.2**	**728,0**
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	17.5	27.7	35,6
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	374.7	202.5	692,4
ფინანსური აქტივების კლება	**-**	**-**	**-**
ვალდებულებების ზრდა	-	-	**1000,0**
სულ შემოსულობების ჯამი	**10,071.2**	**12313.6**	**15286,6**

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 14073,4 ათასი ლარი (წლიური გეგმის 39441,0 ათასი ლარის 35.7%-ი). მათ შორის:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - 3375,0 ათ. ლარი ;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1858,6 ათ. ლარი ;
- განათლება - 3014,2 ათ. ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1949,6 ათ. ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1247,5 ათ. ლარი.
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა - 2628,5 ათ. ლარი.

ბიუჯეტის ასიგნებები პრიორიტეტების მიხედვით

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის გეგმით გასაწევი გადასახდელები განისაზღვრა 39441,0 ათ. ლარით. გაწეული ხარჯების ოდენომამ 6 თვეში შეადგინა 14073,4 ათ. ლარი.

01 00 - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების გეგმა 6950,1 ათ. ლარი - შესრულება 2628,5 ათ. ლარი. გეგმის 37.8%, აქედან:

- ✓ 01 01 01 - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯმა შეადგინა 559,3 ათ. ლარი. გეგმის (1301,6 ათ. ლარი) 43,0%.
- ✓ 01 01 02 - ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯმა შეადგინა 1949,9 ათ. ლარი. გეგმის (5132,4 ათ. ლარი) 38,0%.
- ✓ 01 02 02 - წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა 4,5 ათ. ლარი. საკასო ხარჯი არ არის გაწეული.
- ✓ 01 02 03 - მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვის გეგმამ შეადგინა 235,7 ათ. ლარი. გახარჯულია 116,2 ათ. ლარი. შესრულება 49,3%.
- ✓ 01 02 04 - შესყიდვებთან და აუქციონთან დაკავშირებული ხარჯების გეგმა - 7,0 ათ. ლარი. შესრულება 3,2 ათ.ლარი,შესრულებულია გეგმის 47,5 %.
- ✓ სარეზერვო ფონდიდან გაუხარჯავი თანხა შეადგენს 268,9 ათ. ლარს

02 00 - ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გეგმით გათვალისწინებული იყო 14866,4 ათ. ლარი. გახარჯულია 3375,0 ათ. ლარი. გეგმის 22,7 %. აქედან:

- ✓ 02 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 10114,1 ათ. ლარი. შესრულება 18,8 %. (1904,5 ათ. ლარი)
- ✓ 02 02 01 - წყლის სისტემების რეაბილიტაცის გეგმა - 713,7 ათ. ლარი. შესრულება 42,5 % (303,0 ათ. ლარი)
- ✓ 02 02 02 - წყლის სისტემების ექსპლუატაციის (ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადი) გეგმა - 250,0 ათ. ლარი. შესრულება 41,0% (102,6 ათ. ლარი)
- ✓ 02 02 03 - ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის გეგმა - 621,0 ათ. ლარი. შესრულება 276,2 ათ. ლარი. გეგმის 44,5%.
- ✓ 02 03 01 - გარე განათების ექსპლუატაცია (ელ. ენერგიის გადასახადი) გეგმა 350,0 ათ. ლარი. საკასო ხარჯი 164,4 ათ. ლარი. გეგმის 47,0 %.
- ✓ 02 03 04 - ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურის საკასო ხარჯმა შეადგინა 150,4 ათ. ლარი. გეგმის (395,0 ათ. ლარი) 38,1 %.

- ✓ 02 05 01 - საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის ხარჯმა შეადგინა 375,0 ათ. ლარი. გეგმის (954,5 ათ. ლარი) 39,3 %.
- ✓ 02 06 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმამ შეადგინა 1151,8 ათ.ლარი. საკასო ხარჯმა - 69,5 ათ. ლარი. გეგმის 6,0 %.
- ✓ 02 07 01 - ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა - გეგმით გათვალისწინებული იყო 182,8 ათ. ლარი. შესრულებამ შეადგინა 0 ლარი.
- ✓ 02 07 02 - ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორიცაა, უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი, ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. აღნიშნულ აიპის გრანტის სახით გადაერიცხა 29,5 ათ. ლარი, გეგმის 100 %.

03 00 - დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმით გათვალისწინებული იყო 4121,8 ათ. ლარი. გახარჯულია 1858,6 ათ. ლარი. გეგმის 45,1%. აქედან:

- ✓ 03 01 - ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური - გეგმა 1441,9 ათ. ლარი. საკასო ხარჯი 578,9 ათ. ლარი, გეგმის 40,1 %.
- ✓ 03 02 01 - ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინტრაციის გეგმის 619,4 ათ. ლარი. გახარჯულია 211,2 ათ. ლარი, გეგმის 34,1 %.
- ✓ 03 02 02 - ა(ა)იპ ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრის მიერ გახარჯულია 218,2 ათ. ლარი. გეგმის (438,0 ათ. ლარი) 49,8%.
- ✓ 03 03 01 - სანიაღვრე არხების მოწყობა - გეგმამ შეადგინა 305,9 ათ. ლარი. შესრულება - 4,6 ათ. ლარი, გეგმის 1,5%.
- ✓ 03 03 03 - სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა -გეგმა 884,6 ათ. ლარი. შესრულება 844,2 ათ. ლარი, გეგმის 95,4%.
- ✓ 03 03 04 - სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის გეგმა 222,0 ათ. ლარი, შესრულებამ შეადგინა 1,3 ათ. ლარი. გეგმის 0,6 %.

04 00 - განათლების მიმართულებით გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელია 5736.1 ათ. ლარი. გახარჯულია 3014.2 ათ. ლარი. გეგმის 52.5%. აქედან:

- ✓ 04 01 01- ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრის მიერ გახარჯულია 2338.4 ათ. ლარი. გეგმის (4819.0 ათ. ლარი) 48.5%.

- ✓ 04 01 02 - სკოლამდელი განათლების არაფინანსურის გეგმამ შეადგინა 218.1 ათ. ლარი. გახარჯულია 214.4 ათ. ლარი. გეგმის 98.3 %.
- ✓ 04 02 - ზოგადი განათლების ხელშეწყობის გეგმა - 699.0 ათ. ლარი. ფაქტი - 461.4 ათ. ლარი. გეგმის 66.0 %.

05 00 - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელია 5068.3 ათ. ლარი. გახარჯულია 1949.6 ათ. ლარი. გეგმის 38.5 %. აქედან:

- ✓ 05 01 01 - ა(ა)ი სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანების ხარჯმა შეადგინა 541.8 ათ. ლარი. გეგმის (1013.0 ათ. ლარი) 53.5 %.
- ✓ 05 01 02 - ა(ა)იპ ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონის“ ხარჯებმა შეადგინა 129.6 ათ. ლარი. გეგმის (294.9 ათ. ლარი) 43.9 %.
- ✓ 05 01 03 - სპორტული ღონისძებების დაფინანსების გეგმით გათვალისწინებული იყო 74.1 ათ. ლარი. გახარჯულია 29.2 ათ. ლარი. გეგმის 39.4%.
- ✓ 05 01 04 - სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმამ შეადგინა 1950.4 ათ. ლარი. გახარჯულია 451.9 ათ. ლარი. გეგმის 23.2%
- ✓ 05 02 01 - ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯებმა შეადგინა 467.1 ათ. ლარი. გეგმის (970.6 ათ. ლარი) 48.1 %.
- ✓ 05 02 02 - ა(ა)იპ ბ. მამიაურის სახელობის სახელოვნებო , შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანების ხარჯმა შეადგინა 267.2 ათ. ლარი. გეგმის (572.4 ათ. ლარი) 46.7 %.
- ✓ 05 03 - საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმით გათვალისწინებულია 101,0 ათ. ლარი. გახარჯულია 27,8 ათ. ლარი. გეგმის 27,5%.
- ✓ 05 04 - საინფორმაციო ცენტრის მიერ გახარჯულია 35,0 ათ. ლარი. გეგმის (91,9 ათ. ლარის) 38,1 %.

06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გეგმით გათვალისწინებულია 2698,3 ათ. ლარი. გახარჯულია 1247,5 ათ. ლარი. გეგმის 46,2 %. აქედან:

- ✓ 06 01 01 - ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯმა შეადგინა 67,6 ათ. ლარი. გეგმის (277,2 ათ. ლარი) 24,4%
- ✓ 06 02 01 - ავადმყოფთა სოციალურ დაცვაზე გახარჯულია 276,2 ათ. ლარი. გეგმის (571,1 ათ. ლარი) 48,4 %.
- ✓ 06 02 02 - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებაზე გახარჯულია 166,4 ათ. ლარი. გეგმის (456,4 ათ. ლარი) 36,5% .

- ✓ 06 02 03 - ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ პირთა დახმარებამ შეადგინა 391,5 ათ. ლარი. გეგმის (622,0 ათ. ლარი) 62,9%.
- ✓ 06 02 04 - ვეტერანთა სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯმა შეადგინა 10,0 ათ. ლარი. გეგმის (15,1 ათ. ლარი) 66,2%.
- ✓ 06 02 03 - ა(ა)იპ სოციალური სახლის მიერ გახარჯულია 298,3 ათ. ლარი. გეგმის (667,6 ათ.ლარი) 44,7 %.
- ✓ 06 03 - მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების ხარჯებია 15,0 ათ. ლარი. გეგმის (43,9 ათ. ლარი) 34,2 %.
- ✓ 06 02 05 - წითელი ჯვრის საზოგადოების ხარჯმა შეადგინა 22,5 ათ. ლარი. გეგმის 50%.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ახმეტის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2025-2028 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ახმეტის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა

მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **ინფრასტრუქტურა;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.**

2025-2028 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	6,974.00	7,861.90	8,064.10	6,612.10
	მ.შ. რიცხოვნობა	190	190	190	190
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	2,753.20	2,393.00	3,163.60	5,635.10
	მ.შ. რიცხოვნობა	65	65	65	65
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,980.0	2,875.8	3,097.20	3,336.20
	მ.შ. რიცხოვნობა	165	165	165	165
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	5,373.80	5,788.60	6,235.50	6,718.50
	მ.შ. რიცხოვნობა	426	426	426	426
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	6,162.50	3,887.60	4,064.50	4,289.70
	მ.შ. რიცხოვნობა	381	381	381	381
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,271.00	2,328.70	2,388.70	2,457.70
	მ.შ. რიცხოვნობა	45	45	45	45
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
სულ ჯამი		*26,514.5*	*25,135.6*	*27,013.6*	*29,049.3*
მ.შ. რიცხოვნობა		*1,272.0*	*1,272.0*	*1,272.0*	*1,272.0*

მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება,

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც

თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.